

R 45  
1

ინჟინერი ა. მ. ჯანგიძე

# მთელი ცნობარი

მუდმივი კვების სტატიურად რკვევად და  
ურკვევად კოჭების, მლუნავი მოგვებებისა  
და გადაგზრულ ქალების ეპიურებაზე და  
ზოგიერთ ჩარჩომებზე

საქ. სახ. ტექ. გამომცემლობა „ტექნიკა და ურომა“

თბილისი

1947

621(08)

ინჟინერი ა. მ. ჯანაშია

1K45

# მთავრი ცენტრის

მუდმივი კვების სტატიურად კვამვად და  
უკვამვად კოჭების მდუნავი მომენტებისა  
და გადაწყვეტილ ქალების ეკიურებაზე და  
ზოგიერთ ჩარჩოებზე



გვ 2019-1185

საქ. სახ. ტექ. გამომცემლობა „თბილისი და უკრმა“

თბილისი

1946



### მონათხრობი აღნიშვნები

უბრალო  $AB$  კოჭის  $A$  და  $B$ —მარცხენა და მარჯვენა საყრდენების რეაქციები.

$P$  მოქმედი ძალა.

$P$  ტვირთის  $a$  და  $b$  მანძილები,  $AB$  შალის  $A$  და  $B$  ბოლოებამდე.

$E$ —დრეკადობის კოეფიციენტი, დრეკადობის მოდული გაჭიმვის ან კუმშვის დროს.

$f$ —კოჭის ან ფერმის ჩაღუნვა, ხანდახან რკალის ან თაღის ისარი.

$F$ —ძელის განივი კვეთის ფართი.

$G$ —დრეკადობის კოეფიციენტი ძვრის დროს, ძვრის მოდული.

$\varphi$ —კვეთის ან კვანძების მობრუნების კუთხე.

$\mathcal{K}$ —სიხისტე განზოგადოებული გაგებით: ღუნვის დროს ეს არის  $EI$ , გაჭიმვის დროს  $EF$ , გრეხის დროს  $GI_p$ , ძვრის დროს  $GF$ .

$\mathcal{K}$ —გრძივი სიხისტე (погонная жесткость), რომელიც უდრის  $\frac{EF}{l}$ .

$I$ —ინერციის მომენტი.

$W$ —წინალობის მომენტი.

$M$ —მღუნავი მომენტი.

$n$ —ნორმალური ჭინვა, მჭიმავი ან კუმშავი.

$N$ —ნორმალური მდგენელი ძალდონე.

$k$ —სხვადასხვაგვარი კოეფიციენტები და ფარდობები.

$\Omega$ —მომენტთა ეპიურის ფართი ან გავლენის წირის ფართობი.

$S$ —განივი კვეთის სტატიური მომენტი ან ამ კვეთის ფართის ნაწილი, ან ძალდონე ფერმის ღეროში.

$l$ —მხები (ტანგენსურა) ჰინვა.

$\Theta$ —დრეკად სისტემათა შორის კუთხე.

$P = \frac{1 \cdot l}{EF}$  —ერთეული ძალის მოქმედებით გამოწვე-

ული წაგრძელება გაჭიმვის დროს.

$g$ —სიმძიმის ძალის აჩქარება.

$\frac{1}{EI}$  ან  $\frac{1}{I}$  — შებრუნებული სიხისტე.

$\lambda$ —ღეროს უდიდესი დრეკადობა.

$\frac{1}{EF}$  ან  $\frac{1}{F}$  —კვეთის ჰიმალობა.

$h$ —ჩარჩოს ღეროს სიმაღლე.

$\tau_n$  და  $\varepsilon$ —ჩარჩოს ნაწილების მობრუნების კუთხე.

$l, L$ —მალები ან ძელაკის სიგრძე.

$\sigma$ —საანგარიშო ჰინვა გაჭიმვაზე ან კუმშვაზე.

$R_s, R_d$ —დასაშვები ჰინვა გაჭიმვაზე ან კუმშვაზე.

### გ ა ზ ი მ ვ ა ა ნ კ უ მ ვ ვ ა დ რ ე კ ა დ ო ბ ი ს ზ ღ ვ რ ა ე ზ ი \*

დრეკადობა

სხეულების თვისებას, რომლებიც დატვირთვის მოშორების შემდეგ ლებულობენ თავიანთ პირვანდელ ფორმას—ეწოდება დრეკადობა.


სხეული ითვლება სრულიად დრეკადად, თუ ის დატვირთვის მოშორების შემდეგ მთლიანად ლებულობს თავის პირვანდელ ფორმას, და არა სრულად დრეკადად თუ გარე ძალებით გამოწვეული დეფორ-

\*) იხ. პროფ. С. П. Тимошенко, Сопротивление Материалов, часть первая, 1934 г.

მაცია არ იკარგება მათი სრულიად მოშორების შემდეგ.

ცდები გვიჩვენებს, რომ ისეთი საამშენებლო მასალები, როგორცაა ფოლადი, ხე და ქვა, შეიძლება ჩაითვალოს სრულიად დრეკადად. ზოგიერთ ცნობილ ზღვრებში, რომლებიც დამოკიდებულია მასალების თვისებებზე.

თუ დავუშვებთ, რომ ნაგებობაზე მოქმედი გარე ძალები ცნობილია, მაშინ დამპროექტებლის ძირითად ამოცანას შეადგენს, ნაგებობის ნაწილებისათვის ისეთი ზომების დანიშვნა, რომ რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს სრულიად დრეკად სხეულის მდგომარეობას.



ნახ. ა.

მხოლოდ ასეთ პირობების დროს გვექნება ნაგებობის იმედიანი მუშაობის მუდმივობა და აღარ გვექნება ნარჩენი დეფორმაცია.

### ჰუკის კანონი (ნახ. ა).

უშუალო ცდით, პრიზმატულ ღეროების გაჭიმვის დროს გარკვეულია, რომ საამშენებლო მასალების უმრავლესობისათვის ცნობილ ზღვრებში ღეროს წაგრძელება პროპორციულია მჭიმავი ძალის. ეს უბრალო ხაზობრივი დამოკიდებულება ძალასა და წაგრძელებას შორის პირ-

ველად იქნა ფორმულირებული ინგლისელ სწავლულ რობერტ ჰუკის მიერ\*, 1678 წ.

ვლუბულობით აღნიშვნებს:  $P$ —ძალა, რომელიც იწვევს ღეროს გაქიმვას,  $F$ —ღეროს განივი კვეთის ფართი,  $\Delta l$ —ღეროს სრული წაგრძელება,  $E$ —მასალის დრეკადი მუდმივა—დრეკადობის მოდულად წოდებული.

ჰუკის კანონის თანახმად შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი განტოლება:

$$\Delta l = \frac{Pl}{EF} \dots \dots \dots (1)$$

ღეროს წაგრძელება პროპორციულია მჭიმავი ძალის და ღეროს სიგრძისა და უკუპროპორციულია განივი კვეთის ფართის და დრეკადობის მოდულისა.

ჩვენ ღერძულ გაქიმვის შემთხვევაში, რომლის დროსაც ყველა ბოქოს ერთნაირი წაგრძელება აქვს, ძალთა განაწილება განივი კვეთის  $m$  ფართზე იქნება თანაბარი, თანახმად წონასწორობის პირობებისა ამ ძალთა ჯამი უნდა უდრიდეს  $P$ -ს. ავღნიშნოთ ძალთა განივი კვეთის ერთეულ ფართზე მოსული ძალა  $\sigma$ -თი, მივიღებთ:

$$\sigma = \frac{P}{F} \dots \dots \dots (2)$$

ერთეულ ფართისათვის განკუთვნილი ეს ძალა იწოდება ტინვად.

ძალა იზომება კილოგრამებში და ფართი—კვადრატულ სანტიმეტრებში, ასე, რომ ტინვა გამოისახება კილოგრამებში კვადრატულ სანტიმეტრზე (კგ/სმ<sup>2</sup>).

\*) Robert Hooke, De Potentia restitutiva, London, 1678:

ღეროს ერთეული სიგრძის წაგრძელება განისაზღვრება გამოთქმით:

$$\varepsilon = \frac{\Delta l}{l} \dots \dots \dots (3)$$

მას ეწოდება ფარდობითი წაგრძელება. (2) და (3) განტოლებების სარგებლობით შეგვიძლია ჰუკის კანონი შემდეგი სახით დავწეროთ:

$$\varepsilon = \frac{\sigma}{E} \dots \dots \dots (4)$$

ფარდობითი წაგრძელება ადვილად გამოირკვევა, თუ ცნობილია მასალის ჭინვა და დრეკადობის მოდული. ფარდობითი წაგრძელება  $\varepsilon$  არის განყენებული რიცხვი, რომელიც ორი სიგრძის ფარდობას წარმოადგენს, ამიტომ მე-4 განტოლებიდან დავასკვნით, რომ დრეკადობის მოდული იზომება იმავე ერთეულებში, როგორც ჭინვა. ე. ი. კილოგრამებში კვადრატულ სანტიმეტრზე (კგ/სმ<sup>2</sup>).

(1) და (4) განტოლებით შეგვიძლია ვისარგებლოთ აგრეთვე კუმშვის შემთხვევაში (პრიზმატულ და ცილინდრულ ღეროების). მაშინ  $\Delta l$  — იქნება აღნიშნული სრული გრძივი დამოკლება,  $\varepsilon$  — ფარდობითი დამოკლება და  $\sigma$  — ჭინვა კუმშვის დროს. დრეკადობის მოდული კუმშვის დროს უმრავლეს საამშენებლო მასალისათვის იგივეა, რაც გაჭიმვისათვის.

შემდეგში ჭინვას გაჭიმვის დროს და დეფორმაციას აღნიშნავთ დადებითად და ჭინვას და დეფორმაციას კუმშვის დროს — უარყოფითად.




ტაბულა 1

მასალის მექანიკური მახასიათებლები

მ ა ს ა ლ ე ბ ი	დრეკადობის მოდული $E$ კგ/სმ <sup>2</sup>	$\sigma_T$ დეკადობის ზღვარი კგ/სმ <sup>2</sup>	$\sigma_B$ დროებითი წინალობა კგ/სმ <sup>2</sup>
სხმული ფოლადი 0,15%—0,25% ნახშირ- ბადით . . . . .	2100000	2100—2800	3850—4550
ნიკელური ფოლადი 3— —3,5% ნიკელით . . . . .	2000000	2800—3000	5450—7000
დურალუმინი . . . . .	700000	2450—3150	3780—4550
ცივად მჭიმავი სპილენძი .	1120000	—	2000—2500
მინა . . . . .	700000	—	250
ბეტონი კუმშვის დროს . .	280000	—	210
ფიკვი ბოქვების გასწვრივ	100000	—	560—1400

**გაჭიმვის დიაგრამა**



ნახ. ბ.

პროპორციულობა გაჭიმვის ძალასა და წაგრძელებას შორის შენარჩუნებულია მხოლოდ მჭიმავ კინების

ზღვრულ მნიშვნელობამდე, რომელსაც პროპორციულობის ზღვარი ეწოდება, დამოკიდებულია მასალის თვისებაზე.

ისეთ მასალისათვის, როგორც არის სხმული ფოლადი, ტვირთსა და წაგრძელებას შორის პროპორციულობა რჩება ფართო საზღვრებში და პროპორციულობის ზღვარი შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მაღალი, როგორც 1750 - 2100 კგ/სმ<sup>2</sup>.

ისეთ მასალისათვის, როგორც არის თუჯი ან რბილი სპილენძი, პროპორციულობის ზღვარი მეტად დაბალია, ასე რომ ჰუკის კანონიდან გადახრა შეიძლება ავლნიშნოთ არა დიდ ჭინვების დროს (გაჭიმვის შემთხვევაში). ნახ. ბ-ზე *a* წარმოადგენს სხმულ ფოლადის ტიპიურ გაჭიმვის დიაგრამას\*.

აქ წაგრძელება გადაზომილია, ჰორიზონტალურ ღერძზე და სათანადო ჭინვები მოცემული მრუდის *OABCD* ორდინატებით. *O*-დან *A*-მდე ჭინვა და დეფორმაცია პროპორციული არიან. *A*-ს შემდეგ ხდება შესამჩნევი გადახრა ჰუკის კანონიდან, რისთვისაც *A*-ში ჭინვა წარმოადგენს პროპორციულობის ზღვარს. ამ ზღვრის მაღლა დატვირთვის დროს წაგრძელება იზრდება შედარებით ჩქარა და დიაგრამა ლებულობს მრუდის სახეს. *B* წერტილში, ადგილი აქვს ღეროს უეცარ წაგრძელებას მჭიმავ ძალის შეუმჩნეველ გადიდების გარეშე. ეს მოვლენა ლითონის დენადობათ წოდებული გამოისახება დიაგრამაზე მრუდის თითქმის ჰორიზონტული უბნით. ჭინვა, რომელიც ეთანადება *B* წერტილს, იწოდება დენადობის ზღვრად.

შემდეგში ღეროს ჭინვის გაზრდით, ლითონს ხელახლა უბრუნდება თავისი პირვანდელი თვისება, და რო-

\*) იხ. Проф. С. П. Тимошенко. Сопротивление материалов, часть первая, 1934 г.

გორც ვხედავთ დიაგრამიდან, საჭირო მჭიმავი ძალა იზრდება წაგრძელებასთან ერთად და შემდეგში *C* წერტილამდე, სადაც ეს ძალა აღწევს თავის უდიდეს მნიშვნელობას. სათანადო ჭინვას ეწოდება მასალის დროებითი წინაღობა. *C* წერტილის შემდეგ ღეროს წაგრძელებას თანსდევს ძალის შემცირება და ბოლოს ხდება გაწყვეტა ტვირთის დროს, რომელიც ეთანადება დიაგრამის *D* წერტილს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ღეროს წაგრძელებას თანსდევს განივი ზომების შემცირება; მაგრამ დენადობის ზღვრის და დროებით წინაღობის განსაზღვრის დროს, როდესაც დამყარდება ჩვეულებრივობა, სარგებლობენ პირვანდელ განივი კვეთის ფართობით *F*. ნახ. ბ-ზე *b*. წარმოადგენს გაჭიმვის დიაგრამას თუჯისათვის. ამ მასალას აქვს ძალიან დაბალი პროპორციულობის ზღვარი და არა აქვს განსაზღვრული დენადობის ზღვარი. ასეთივე ანალოგიური დიაგრამის მიღება შეგვიძლია კუმშვისათვის.

### დასაშვები ჭინვა

გაჭიმვის დიაგრამა ძალიან სასარგებლოდ აშუქებს მექანიკურ თვისებებს. მასალის პროპორციულობის ზღვრის, დრეკადობის ზღვრის და დროებით წინაღობის ცოდნით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საინჟინერო საქმის თვითეულ კერძო ამოცანისათვის ჭინვის სიდიდე, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უსაფრთხოების ჭინვა. ამ ჭინვას ჩვეულებრივად დასაშვებ ჭინვას უწოდებენ.

ფოლადისათვის დასაშვები ჭინვის სიდიდის შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მასალის

სრული დრეკადობა პროპორციულობის ზღვრის ქვემოთ ჭინვების დროს და ამ ზღვრის ზემოდ დარჩენილი ნარჩენი დეფორმაცია.

კონსტრუქცია, რომ შევინარჩუნოთ დრეკად მდგომარეობაში და მოვსპოთ ნარჩენი დეფორმაციის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, უნდა დაინიშნოს დასაშვები ჭინვა პროპორციულობის ზღვრის ქვემოთ.

აღვნიშნოთ  $R$ ,  $\sigma_T$  და  $\sigma_B$  სათანადო დასაშვები ჭინვა, დენადობის ზღვარი და დროებითი წინაღობა; დასაშვები ჭინვის სიდიდე შეგვიძლია გამოვსახოთ განტოლებებით:

$$R = \frac{\sigma_T}{n} \text{ ან } R = \frac{\sigma_B}{n_1} \dots \dots \dots (5)$$

სადაც  $n$  და  $n_1$ —ჩვეულებრივად უსაფრთხოების კოეფიციენტებად წოდებული კოეფიციენტებია (მდგრადობის მარაგი).

სხმულ ფოლადისათვის დენადობის ზღვარი დასაშვები ჭინვის დანიშვნის საფუძვლად არის მიღებული, რადგანაც ამ ზღვრის ზემოდ ჭინვების დროს შეიძლება მიღებულ იქნას მნიშვნელოვანი ნარჩენი დეფორმაცია, რომელიც დაუშვებელია საინჟინერო ნაგებობაში. უსაფრთხოების კოეფიციენტი  $n=2$  მოგვცემს საკმაო სიდიდეს დასაშვებ ჭინვისათვის იმ დაშვებით, რომ ნაგებობებზე მოქმედობენ მხოლოდ მუდმივი ტვირთები. უფროად მოდებულ ძალების ან დროებით ტვირთების მოდების შემთხვევაში, რაც ხშირად ხდება მანქანების ნაწილებში საჭიროა დიდი უსაფრთხოების კოეფიციენტი. მსხვრევადი მასალისათვის, როგორც არის თუჯი, ბეტონი, სხვა-

დასხვა ჯიშის ქვეები და ისეთ მასალისათვის როგორც არის ხე, დასაშვები ჭინვის დანიშვნის ბაზად დროებითი წინაღობაა მიღებული.

უსაფრთხოებას კოეფიციენტის სიდიდით დამოკიდებულია იმ სიზუსტეზე, რომლითაც გამორკვეულია გარე ძალები, რომლებიც მოქმედობენ ნაგებობაზე, აგრეთვე ხმარებულ მასალების ერთგვარობაზე.

---

## საამჟამინდელი მშენებლის ძირითადი ფორმულები

### 1. უშუალო გაჭიმვა

$$\boxed{(\sigma_1) = \frac{P}{F} \quad *}$$

სადაც

$(\sigma_1)$ —არის საანგარიშო ჰინვა გაჭიმვაზე

$F$ —ელემენტის განივი კვეთის ფართობი


$P$ —მოქმედი ძალა.

### 2. უშუალო კუმშვა

$$\boxed{(\sigma_2) = \frac{P}{F}}$$

$(\sigma_2)$ —საანგარიშო ჰინვა კუმშვაზე. გრძივი ღუნვის დროს გვექნება

$$\boxed{(\sigma_2) \varphi = \frac{P}{F}}$$



ნახ. 1.

\*)  $(\sigma_1) = \frac{P}{F} \leq R_s$ , სადაც:

$R_s$ —არის დასაშვები ჰინვა გაჭიმვის დროს,

$R_k$ -თი—კი აღვნიშნავთ დასაშვებ ჰინვას კუმშვის დროს.

სადაც  $\varphi$  — არის დასაშვები ჭინვის შემამცირებელი კოეფიციენტი. გრძივი ლუნვის დროს გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\varphi = \frac{1}{1 + ck \cdot \frac{(P)^2}{(\rho)}} \dots \dots \dots (4)$$

$\epsilon$  — კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია მაქსიმალური შექანის თვისებებზე.

$k$  — კოეფიციენტი დამოკიდებულია ბოლოების ჩამაგრების სახეზე.


სახსროვან ჩამაგრების დროს . . . . .  $k = 1,00$

მთლიანი ჩამაგრების დროს . . . . .  $k = 0,25$

ნახევრად სახსროვან ჩამაგრების დროს . . . . .  $k = 0,50$

### 3. ჭინვები ლუნვის დროს

$$\sigma_{1-2} = \frac{M}{I} \cdot y \dots \dots \dots (5)$$



ნახ. 2.


სადაც

$M$  — მღუნავი მომენტი,

$I$  — კვეთის ინერციის მომენტი,


$y$  — მანძილი ბოჭკოების ნეიტრალურ ღერძიდან

(ნახ. 2 და ნახ. 3).



ნახ. 3.

4. ცენტრგარეშე კუმშვა ან გაჭიმვა




$$\sigma_2 = \frac{N}{F} \pm \frac{M}{W} \quad \dots (6)$$

სადაც:  $M = P \cdot c$ ;  $F = a \cdot b$ , და  $W$  — კვეთის წინალობის მომენტი.

გრძივი ღუნვის დროს:

$$\sigma_2 = \frac{N}{F \cdot \varphi} \pm \frac{M}{W} \quad \dots (7)$$

5. ამხლეჩი კინეები



ნახ. 4.


ამხლეჩი კინეები შვეულ და თარზულ სიბრტყეებში მოცემული წერტილისათვის თანატოლნი არიან.



კვეთისათვის  $y$ —მანძილზე

$$t = \frac{QS_y}{I_x \cdot b} \dots \dots \dots (8)$$

სადაც



ნახ. 5.

$t$ —არის ჭინვა ახლევანზე;

$S_y$ —კვეთის ნაწილის სტატიური მომენტი  $x-x$  ღერძის მიმართ, რომლისათვისაც ვარკვევთ ამხლევ ჭინვებს;

$I_x$ —მთელი კვეთის ინერციის მომენტი  $x-x$  ღერძის მიმართ;

$Q$ —განივი ძალა;

$b$ —ელემენტის სიგანე (ნახ. 5).

### 6. მთავარი ჭინვები.

მთავარი ჭინვები ნორმალური და ამხლევ ჭინვების ტოლქმედია მოცემულ წერტილში.

მთავარი ნორმალური ჰინვა:

$$\sigma_l = \frac{\sigma}{2} \pm \sqrt{\left(\frac{\sigma}{2}\right)^2 + l^2} \quad \dots \dots \dots (9)$$

მთავარი ამხლეჩი ჰინვა:

$$l' = \pm \sqrt{\left(\frac{\sigma}{2}\right)^2 + l^2} \quad \dots \dots \dots (10)$$

7. ღუნვის ექვსი პწკარი

1-ლი დატვირთვა  $P \dots \dots \dots (11)$

2-რე განივი ძალა  $Q = \int P dx \dots \dots \dots (12)$

3-ე მღუნავი მომენტი  $M = \iint P dx = \int Q dx \dots (13)$

4-ე ფიქტიური სამომენტო დატვირთვა  $P' = \frac{M}{EI}, (14)$

სადაც  $EI$ --არის კოჭის სიხისტე.

5. განივი ძალა ფიქტიურ სამომენტო დატვირთვი-საგან მოცემულს წერტილში არის დახრის კუთხე და:


$$Q' = \int P' dx = \int \frac{M}{EI} dx = \alpha; \dots \dots \dots (15)$$

6. ფიქტიური სამომენტო დატვირთვისაგან მო-მენტი ჩაღუნვაა მოცემულ წერტილში:

$$M' = \iint P' dx = \int Q dx = \dots \dots \dots (16)$$

$Q'$  და  $M'$  ეპიურების აგება წარმოებს ჩვეულებრივი მეთოდით, როგორც  $M$  და  $Q$ -სათვის, მხოლოდ  $P$  დატვირთვის მაგიერ გვაქვს სამომენტო ფართობის და  $EI$  სიხისტის ფარდობა.

$M'$ -ს მრული არის კოჭის გაღუნული ღერძი.  
იხ. ნაკ. I-დან VI-მდე ნახ. 6-ზე.



ნახ. 6.


I, II, III, IV, V და VI.

## შავალითი 1

ვიპოვოთ მობრუნების კუთხე კოქის: ა) მე-7-ე ნახაზის დატვირთვის მიხედვით:  $\operatorname{tg} \alpha = A' =$  ეპიურის ფართობისაგან გამოწვეულ რეაქციას

$$M' = + \frac{M}{EI} \cdot \frac{l}{2} \cdot \frac{2}{3} = + \frac{Ml}{3EI}$$

$$\operatorname{tg} \beta = B' = \frac{M}{EI} \cdot \frac{l}{2} \cdot \frac{1}{3} = \frac{Ml}{6EI}$$



ნახ. 7.


ბ) მე-8-ე ნახაზის მიხედვით, სამკუთხედის სიმძიმის ცენტრი:

$$c = \frac{y_1 + y_2 + y_3}{3} \quad (\text{იხ. ნახ. 9})$$


$$\begin{aligned} \operatorname{tg} \alpha = A' &= \frac{M_B}{l} = \frac{\Omega \cdot c}{l} = \frac{Pab}{lEI} \cdot \frac{l}{2} \cdot \frac{l+b+0}{3} \cdot \frac{1}{l} = \\ &= \frac{Pba(l+b)}{6EI} \end{aligned}$$

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{Pab(l+b)}{6EI}; \quad \operatorname{tg} \beta = \frac{Pab(l+a)}{6EI}$$

მაგალითი 2  
საჭიროა კოჭის ჩამაგრების მომენტის პოვნა მე-10-ე ნახაზის მიხედვით.



ნახ. 8.



ნახ. 9.

1-ლი მაგალითიდან გვაქვს:

$$A'_1 = \frac{M_A l}{3EI}; \quad A'_2 = \frac{Pab(l+b)}{6EI}$$


ვინაიდან კოჭი A საყრდენზე ჩამაგრებულია. მაშასადამე მობრუნების კუთხე ნულის ტოლია, ე. ი.

$$A' = A'_1 + A'_2 = \operatorname{tg} \alpha = 0;$$

$$\frac{M_A l}{3EI} + \frac{Pab(l+b)}{6EI} = 0;$$

$$M_A = -\frac{Pab(l+b) \cdot 3EI}{6EI \cdot l} = -\frac{Pab(l+b)}{2l}$$

ანალოგიური მსჯელობით შეიძლება გამოვკვეთა უკრი კოჭების და ჩარჩოების საყრდენი მომენტებისა, როდესაც დატვირთულია სიმეტრიული დატვირთვით და ადგილი არა აქვს კოლონების ცვლას.




ნახ. 10.

8. უკრი კოჭებში

$$M_n l_n H_{n+1} l_{n+2} (l_n + l_{n+1}) M_n + l_{n+1} M_{n+1} = -6 EJ (B'_n + A'_{n+1}) \dots \dots \dots (17)$$

სადაც  $B'_n$  კოქის მარჯვენა რეაქციაა საყრდენის, ფიქტიური სამომენტო დატვირთვისაგან  $n$ -ური მალის, და  $A_{n+1}$  მარცხენა  $n+1$  მალის (იხ. ნახ. 11).



ნახ. 11.

მე-(17)-ე ფორმულაში  $n=1, 2, 3$  ა. შ. ჩასმით იმდენ განტოლებას ვღებულობთ, რამდენიც უცნობია; მათი ამოხსნით გამოვირკვევთ საყრდენ მომენტებს. ეპიურის ასაგებად გამოვითვლით  $Q$  (ნახ. 11 ე).

$$A_n = A'_n + \frac{M_n - M_{n-1}}{l_n};$$


$$B_n = -B'_n + \frac{M_n - M_{n-1}}{l_n};$$

(18)

სადაც  $A^n$  და  $B^n$  — არის უბრალო კოჭის რეაქციები. ნაჩვენები მეთოდით ამოცანის გადაწყვეტა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მალეები ტოლნი არ არიან.

## II. სტატიკურად ჩვევადი მუდმივი კვეთის კოჭები

1. ერთი ბოლოთი დამაგრებული კოჭი შეყურსული ძალით



ნახ. 12.

წონასწორობის განტოლებების თანახმად ვწერთ:

$$\sum V = Q + P = 0; \quad |Q = P| \quad \dots \dots \dots (19)$$

სიმტკიცის პირობების თანახმად:  $M = \sigma \cdot W$ . მღუნავი მომენტი  $x$  — მანძილზე მყოფ კვეთის მიმართ  $M_x = P \cdot x$ ;

$$M_{max} = Pl \quad \dots \dots \dots (2)$$



ჩალუნვის ისარს გამოვარკვევთ ფორმულით:  $t = \frac{F_m \cdot X_0}{EJ}$ ,

$$F_m = \frac{P \cdot l \cdot l}{2} = \frac{pl^2}{2}; \quad x_0 = \frac{2}{3}l, \quad f = \frac{Pl^2}{2} \cdot \frac{2}{3}l \cdot \frac{1}{EJ} =$$


$$= \frac{Pe^3}{3EJ} Pl = \sigma W = \sigma \frac{J}{l} \text{ შეცვლით და მივიღებთ:}$$

$$f = \sigma \frac{J}{l} \cdot \frac{l^2}{3EJ} = \frac{\sigma l^2}{3lE}; \quad f = \frac{\sigma l^2}{3lE};$$

$$\boxed{f = \frac{Pl^3}{3EJ}} \dots \dots \dots (21)$$

$$\boxed{f = \frac{\sigma l^2}{3lE}} \dots \dots \dots (21')$$

2. ერთი ბოლოთი ჩამაგრებული კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით



ნახ. 13.

$$Q_x = q \cdot x; \quad \boxed{Q_{max} = ql}; \quad \dots \dots \dots (22)$$

$$M_x = q \cdot x \cdot \frac{x}{2} = \frac{qx^2}{2}; \quad \boxed{M_{max} = \frac{ql^2}{2};} \quad \dots (23)$$

ჩაღუნვის ისარი იქნება:

$$f = \frac{F_m \cdot x_0}{EJ};$$

ჩვენს შემთხვევისათვის  $F_m$ —იქნება მომენტის ფართი ამიტომ:

$$F_m = \frac{1}{3} l \cdot \frac{ql^2}{2} = \frac{ql^3}{6};$$

როგორც ჩვენთვის ცნობილია პარაბოლის ფართი აღნიშნულ სამკუთხედის გვერდებით იქნება:  $\frac{2}{3} l \cdot \frac{ql^2}{2} =$

$$= \frac{ql^3}{3}, \text{ სადაც პარაბოლის ფართი იქნება: } \frac{ql^3}{2} - \frac{ql^3}{3} = \frac{ql^3}{6};$$

როგორც თეორიულ მექანიკიდან ცნობილია  $F_m$ —წარმოადგენს ფართს სიმძიმის წერტილიდან  $B$  წერტილამდე (ჩვენს შემთხვევისათვის)  $x_0 = \frac{3}{4} l$ .


$$f = \frac{ql^3}{6} \cdot \frac{3}{4} l \cdot \frac{1}{EJ} = \frac{ql^4}{8 EJ};$$

$$\boxed{f = \frac{ql^4}{8 EJ}} \quad \dots \dots \dots (24)$$

რადგან  $M = \frac{ql^2}{2} = \sigma \cdot W = \frac{\sigma J}{e}$ , მივიღებთ

$$f = \frac{\sigma l^3}{4eE} \dots \dots \dots (24)$$

3. ერთი ბოლოთი ჩამაგრებული კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით, რომლის ბოლოზე მოდებულია შეყურსული ძალა.



ნახ. 14.

$$Q_x = P + q \cdot x; \quad Q_{max} = P + ql; \dots \dots \dots (25)$$


$$M_x = Px + qx \cdot \frac{qx}{2};$$

$$M_{max} = Pl + \frac{ql^2}{2}; \dots \dots \dots (26)$$

$$f = \frac{pl^3}{3EJ} + \frac{ql^4}{8EJ}; \dots \dots \dots (27)$$

## ორ საყრდენზე მდებარე კოჭი

1. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი, რომელზედაც მოქმედობს წყუქრსული ძალა.



ნახ. 15.

საყრდენი რეაქციების განსაზღვრა:

$$Pa - Bl = 0; \quad Pa = Bl;$$

$$Al - Pb = 0; \quad Pb = Al;$$

$$Bl = \frac{Pa}{P}$$

$$A = \frac{Pb}{l};$$

..... (28)

$$A + B = P; \quad B = P - \frac{Pb}{l};$$

$$M_x = Bx = \frac{Pa}{l} \cdot x;$$


$$\boxed{M_{max} = \frac{Pab}{l}} \dots \dots \dots (29)$$

$$2. A=B=\frac{P}{2}, \quad \boxed{M_{max} = \frac{Pl}{4}} \dots \dots \dots (30)$$

$$f = \frac{Pl^3}{3EJ};$$

$$\boxed{f = \frac{1}{3} \cdot \frac{P}{2} \cdot \frac{l^3}{8EJ} = \frac{Pl^3}{48EJ}} \dots \dots \dots (31)$$

2. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი ორი შეყურსული ძალით



ნახ. 16.


$$A = \frac{P_1 b_1}{l} + \frac{P_2 b_2}{l}; \quad B = \frac{P_1 a_1}{l} + \frac{P_2 a_2}{l};$$

$$M_a = M_b = 0; \quad M_c = Aa; \quad M_{c_2} = Bb_2; \quad M_x = B(b_2 + x) - P_2 x;$$

$$\begin{aligned}
M_{c_1} &= Bb_1 - P_2(a_2 - a_1) = \left( \frac{P_1 a_1}{l} + \frac{P_2 a_2}{l} \right) b_1 + \\
&+ P_2(a_2 - a_1) = \frac{P_1 a_1}{l} b_1 + \frac{P_2 a_2}{l} b_1 - P_2 a_2 + P_2 a_1 = \\
&= \frac{P_2 a_1}{l} b_1 + \frac{P_2 a_1}{l} b_1 - P_2 a_2 + P_2 a_1 = \frac{P_2 a_1 b_1}{l} + \\
&+ \frac{P_2}{l} (a_2 b_1 - a_2 l + a_1 l) = \frac{P_1 b_1}{l} a_1 + \frac{P_2}{l} [-a_2(l - b_1) + a_1 l] = \\
&= \frac{P_2 b_1}{l} a_1 + \frac{P_2 a_1}{l} (l - a_2) = \frac{P_1 b_1}{l} a_1 + \frac{P_2 a_1}{l} b_2 = \\
&= \left( \frac{P_1 b_1}{l} + \frac{P_2 b_2}{l} \right) a_1 = Aa_1,
\end{aligned}$$

$$\left. \begin{aligned}
M_{c_2} &= B \cdot b_2 \\
M_{c_1} &= A \cdot a_1
\end{aligned} \right\} \dots \dots \dots (32)$$

3. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი ორი სიმეტრიული შეყურსული ძალით



ფიგ. 17.

$$P_1 = P_2 = P:$$


$$a_1 = b_2 = a;$$

$$A = B = P \quad \dots \dots \dots (33)$$

$$M_{c_1} = M_{c_2} = Pa_1 \quad \dots \dots \dots (34)$$

$c_1 - c_2$  უბანზე კოჭი განიცილის ღუნვისაგან თანაბარ ერთგვაროვან დეფორმაციას.

4. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი ორი სიმეტრიული კონსოლით, რომელზედაც მოქმედობს ორი ურთიერთ ტოლი შეყურსული ძალა




ნახ. 18,

კოჭის სიგრძე არავითარ გავლენას არ ახდენს მის სიმტკიცეზე

$$M = Pa;$$

$$Q = P;$$

5. ორ საყრდენზე მდებარე კონსოლიანი კოჭი, რომელზედაც მოქმედობს ძალები, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები



ნახ. 19.

შევადგინოთ წონასწორობის განტოლება  $A$  წერტილის მიმართ; მივიღებთ:

$$P_2 a_2 - Bl + P_3 a_3 - P_1 a_1 = 0;$$

$$B = \frac{P_2 a_2}{l} + \frac{P_3 a_3}{l} - \frac{P_1 a_1}{l},$$

ანალოგიურად

$$A = \frac{P_2 b_2}{l} + \frac{P_1 b_1}{l} - \frac{P_3 b_3}{l};$$

$A$ -დან  $D$ -მდე:

$M_x = P_1(a_1 + x_1) + Ax_1$ ; როცა  $x=0$ ;  $M_{x_1} = -P_1 a_1$   
როცა

$$x_1 = a_2;$$



$$M_D = -P_1(a_1 + a_2) + Aa_2 \dots \dots \dots (35)$$

B და D-ე

$$M_D = -P_3(b_3 + b_2) + Bb_2 \dots \dots \dots (35)$$

გამოთქმა (35) და (35') ურთიერთ ტოლნი არიან, მაშასადამე:

$$M_D = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - \frac{P_1 a_1 b_2}{l} - \frac{P_3 b_3 a_2}{l} \dots \dots (35'')$$

გავარჩიოთ 3 შემთხვევა (35'') განტოლების მიხედვით.

1. შემთხვევა. ღუნვის მომენტი  $M_D > 0$  ეს ნიშნავს რომ (35'') განტოლების პირველი წევრი მეტია დანარჩენ ორი წევრის ჯამზე, მაშასადამე აქვს შებრუნებული მიმართულება კონსოლის მომენტებს. რის გამოც კონსოლებზე ზემო ბოჭკოები გაჭიმულია, ხოლო კოჭის მალის შუაზე ზემო ბოჭკოები შეკუმშული.

2. შემთხვევა  $M_D < 0$  | ორთავე შემთხვევაში კო-

3. შემთხვევა  $M_D < 0$  | ჯის მთელ სიგრძეზე ზემო ბოჭკოები გაჭიმულია, ე. ი.  $P_2$  ძალის მომენტი მცირეა  $P_1$  და  $P_3$  ძალების მომენტებზე. საშიში კვეთი იმყოფება ერთერთ ამ საყრდენზე.

როდესაც  $M_D > 0$ , მაშინ AD სიგრძეზე არის ორი  $K_1$  და  $K$  წერტილები, რომლებისთვისაც  $M_x = 0$ , ე. ი. რომლებიც არ განიცდიან ღუნვას და სადაც ღუნვა ერთი მიმართულებისა გადადის მეორე მიმართულებაში.

ეს  $K_1$  და  $K$  წერტილები იწოდებიან გადაღუნვის წერტილებად ან და ბუნებრივი სახსრების წერტილებად, ამ წერტილებისათვის:

$$M_{x_1} = Ax_1 - P_1(a_1 + x_1) = 0;$$

საიდანაც

$$x_1 = \frac{P_1 a_1}{A - P_1} \dots (\varphi_1)$$

$$M_{x_2} = Bx_2 - P_3(b_3 + x_2) = 0;$$

საიდანაც

$$x_2 = \frac{P_3 b_3}{B - P_3} \dots (\varphi_2)$$

გავარჩიოთ 4 შემთხვევა.

№ 1. ერთნაირი სიგრძის კონსოლები ერთნაირი ტვირთით დატვირთული:

$$a_1 = b_3 = a;$$

$$P_1 = P_3 = P;$$

$$M_A = M_B = -Pa;$$

$$M_D = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - \frac{P a b_2}{l} - \frac{P a a_2}{l} = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - \frac{P a}{l} (b_2 + a_2) = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - Pa.$$

კოჭი იქნება საუკეთესოდ გამოყენებული, როდესაც მისი მასალა ერთნაირად იქნება დაძაბული, როგორც საყრდენებზე ისე. მალის საშიშ კვეთში; ე. ი. როდესაც

$$M_A = M_B = M_D \text{ ან}$$

$$\frac{P_2 b_2 a_2}{l} - Pa = Pa; \quad 2Pa = \frac{P_2 a_2 b_2}{l};$$

აქედან

$$a = \frac{P_2}{P} \cdot \frac{a_2 b_2}{l};$$

№ 2. სამი შეყურსული თანასწორი ტვირთი. კონსოლები ტოლნი არიან;  $P_2$  მოდებულია მალის შუაში.

$$P_1 = P_2 = P_3 = P; \quad a_1 = b_3 = a; \quad a_2 = b_2 = \frac{l}{2};$$

ამ შემთხვევაში:

$$A = B = \frac{2}{2} P; \quad M_A = M_B = Pa;$$

$$M_D = \frac{Pl}{4} - Pa,$$

როცა

$$\frac{l}{2} = a,$$

მაშინ

$$M_D = \frac{Pl}{4} - \frac{Pl}{2} = -\frac{Pl}{4};$$

ეს იქნება მაშინ, როცა კოჭის შუა ნაწილი იქნება აღუნული კონსოლის ღუნვის მხარეზე. კოჭი რომ იყოს საუკეთესოდ გამოყენებული, ამისათვის საჭიროა:

$$M_D = M_B = M_A; \quad \text{ე. ი.}$$

$$\frac{Pl}{4} - Pa = Pa; \quad 2a = \frac{l}{4}; \quad a = \frac{l}{8}.$$

ამ გამოთქმის ( $\varphi_1$ ) და ( $\varphi_2$ ) ფორმულებში ჩასმით ვღებულობთ:

$$x_1 = x_2; \quad x_1 = x_2 = \frac{Pl}{8 \left( \frac{3}{2} P - P \right)} = \frac{l}{4};$$

№ 3.  $AB$  კოჭს აქვს მხოლოდ ერთი კონსოლი  $BE$ ;

$$P_1=0; \quad a_1=0;$$

მაშინ გვაქვს:

$$A = \frac{P_2 b_2}{l} - \frac{P_3 b_3}{l}; \quad B = \frac{P_2 a_2}{l} + \frac{P_2 (l - b_3)}{l};$$

$$M_A = 0; \quad M_B = -P_3 b_3; \quad M_D = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - \frac{P_3 a_2 b_3}{l};$$

კოჭის გამოყენების საუკეთესო შემთხვევა არის, როდესაც:

$$M_B = M_D; \text{ ან}$$

$$P_3 b_3 = \frac{P_2 a_2 b_2}{l} - \frac{P_3 a_2 b_3}{l}; \quad P_3 b_3 l + P_3 a_2 b_3 = P_2 a_2 b_2;$$

და საბოლოოდ

$$P_3 b_3 (l + a_2) = P_2 a_2 b_2;$$

№ 4. მოვდით  $P_2$  ძალა კოჭის მალის შუაში, მაშინ გვექნება შემდეგი გამოსახულება:

$$a_2 = b_2 = \frac{l}{2}; \quad P_2 = P_3 = P.$$

რეაქციების ფორმულაში ჩასმით ვღებულობთ:

$$A = \frac{P}{2} - \frac{P b_3}{l} = P \left( \frac{1}{2} - \frac{b_3}{l} \right); \quad M_B = -P b_3;$$

$$M_D = \frac{P l}{4} - \frac{P b_3}{2}$$

კოჭის გამოყენების საუკეთესო პირობები იქნება მაშინ, როდესაც:

$$M_B = M_D \text{ ან } Pb_3 = \frac{Pl}{4} = \frac{Pb_3}{2};$$

საიდანაც:

$$\frac{3}{2} b_3 = \frac{1}{4}; \quad 6b_3 = l; \quad b_3 = \frac{l}{6}.$$

ამ შემთხვევებში:

$$A = \frac{1}{3} P; \quad B = \frac{5}{3} P; \quad M_D = M_{max} = \frac{Pl}{6};$$


გადაღუნვის წერტილამდე მანძილი ტოლია:

$$x_0 = \frac{Pb_3}{B-P} = \frac{Pl}{6\left(\frac{5}{3}P - P\right)} = \frac{Pl}{4P} = \frac{l}{4};$$

ე. ი.

$$x_0 = \frac{l}{4}.$$

6. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით



ნახ. 20.

q კვ ტვირთი კოქის ერთეულ სიგრძეზე.

$$A = B = \frac{ql}{2}; \quad M_x = Bx - qx \cdot \frac{x}{2} = \frac{ql}{2}x - \frac{qx^2}{2} = \\ = \frac{q}{2}x(l-x);$$

$$x=0; \quad x=l; \quad M_{x=0}=0; \quad M_{x=l}=l=0; \quad x=\frac{l}{2}; \quad M_x = \frac{ql^2}{8};$$

$$\boxed{M_{max} = \frac{ql^2}{8}} \dots \dots \dots (36)$$

$$x = \frac{l}{2} \pm \lambda.$$

$$M_x = \frac{q}{2} \left( \frac{l}{2} + \lambda \right) \left( \frac{l}{2} - \lambda \right) = \frac{q}{2} \left( \frac{l^2}{4} - \lambda^2 \right);$$

$$M_x = \frac{l}{2} + \lambda = \frac{q}{2} \left( \frac{l^2}{4} - \lambda^2 \right);$$

$$f = \frac{F_m \cdot x_0}{EJ}; \quad F_m = \frac{1}{2} \cdot \frac{2}{3} l \cdot \frac{ql^2}{8} = \frac{ql^3}{24};$$

$$x_0 = \frac{5}{8} \cdot \frac{l}{2} = \frac{5}{10}l;$$

$$f = \frac{\frac{ql^3}{24} \cdot \frac{5}{16}l}{EJ} = \frac{5}{384} \cdot \frac{ql^4}{EJ}; \quad \frac{ql^2}{8} = M = \frac{\sigma J}{e};$$


$$\boxed{f = \frac{5}{384} \cdot \frac{ql^4}{EJ}} \dots \dots \dots (37)$$

$$f = \frac{5}{48} \cdot \frac{\sigma l^2}{eE} \dots \dots \dots (37^1)$$

A და B საყრდენების კვეთის კუთხეების გამოსარკვევად ვსარგებლობთ ფორმულით:

$$\varphi = \frac{F_m}{EJ}; \quad F_m = \frac{ql^3}{24}; \quad \varphi = \frac{ql^3}{24 EJ};$$

7. ორი საყრდენზე მდებარე კონსოლებიანი კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით



ნახ. 21.

q—კვ. ტვირთი კოჭის ერთეულ სიგრძეზე.

$$A=B=q\left(\frac{l}{2}+a\right); \quad M_x = Ax - q(a+x) \cdot \frac{a+x}{2} =$$

$$= q\left(\frac{l}{2}+a\right)x - \frac{q(a+x)^2}{2} = \frac{qx}{2}(l-x) - \frac{qx^2}{2};$$

$$Mx = -\frac{qx}{2} (l-x) - \frac{qx^2}{2} \dots \dots \dots (\alpha)$$

როდესაც  $x=l$ ,  
მაშინ:

$$M_x = -\frac{qx^2}{2};$$

როცა

$$x = \frac{l}{2},$$

მაშინ:

$$Mx = \frac{ql^2}{8} - \frac{qx^2}{2}; \dots \dots \dots (\beta)$$

კოჭის სიმტკიცე იქნება კარგად გამოყენებული, როცა მლუნავი მომენტების აბსოლუტური მნიშვნელობანი, როგორც საყრდენებზე, ისე მალის შუაში ტოლებია, ამისათვის კი საჭიროა

$$\frac{M_l}{2} \text{ და } M_{x=0},$$

$x=l$

მაშინ განვსაზღვრავთ  $a$ -ს მნიშვნელობას  $(\alpha)$  და  $(\beta)$  განტოლებებიდან:

$$\frac{qa^2}{2} = \frac{ql^2}{8} - \frac{qa^2}{2}; \quad qa^2 = \frac{ql^2}{8};$$

$$a = \frac{l}{\sqrt{8}} = 0,35 l;$$



ეს არის  $a$ -ს მნიშვნელობა (კონსოლის), რომლის დროსაც როგორც საყრდენებზე, ისე მალის შუაში მლუნავი მომენტები ტოლებია:  $0,35 l$ -ზე მცირე  $a$ -ს მნიშვნელობა (ე. ი.  $a < 0,35 l$ ) როცა გვაქვს, მაშინ მალის მლუნავი მომენტები იქნება საყრდენების მომენტებზე მეტი.  $a > 0,335 l$  — მივიღებთ უდიდეს საყრდენობების მომენტებს. განვსაზღვროთ გადალუნვის  $K, K_1$  წერტილები.

$$\frac{qx}{2}(l-x) - \frac{qa^2}{2} = 0;$$

$$x^2 - lx + a^2 = 0$$

(კვად. განტ.).

$$x_1 = \frac{l}{2} + \sqrt{\frac{l^2}{4} - a^2}; \quad x_2 = \frac{l}{2} - \sqrt{\frac{l^2}{4} - a^2};$$

კერძო შემთხვევაში, როცა  $a^2 = \frac{l^2}{8}$ , ე. ი. როცა  $a = 0,35 l$  გვაქვს:

$$x_1 = 0,5 l + 0,35 l = 0,85 l; \quad x_2 = 0,5 l - 0,35 l = 0,15 l.$$


8. ერთკონსოლიან ორ საყრდენობზე მდებარე კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით (კერძო შემთხვევა)

$$Al - \frac{ql^2}{2} + \frac{qa^2}{2} = 0; \quad A = \frac{q}{2l}(l^2 - a^2); \dots (\gamma)$$

$$B = \frac{q}{2l}(l+a)^2. \dots (\gamma)$$

( $\gamma$ ) განტოლებიდან ჩანს: როდესაც  $l > a$ ;  $A$  — საყრდენის რეაქცია ნულზე მეტია; როცა  $l = a$ ;  $A = 0$ ;

როცა  $l < a$ ;  $A < 0$ . საყრდენი რეაქციის უარყოფითი სიდიდის დროს, კოჭი არ ახდენს დაწოლას. საყრდენზე, პირიქით მისგან ცდილობს აგლეჯას, ამისათვის. საჭიროა გავაკეთოთ ისეთი საყრდენი, როგორც პრაქტიკულად ნახვენებია ნახ. 23-ზე და ნახ. 22-ზე წყვეტილით.



ნახ. 22.



ნახ. 23.

$$M_x = Ax - \frac{qx^2}{2} = \frac{q}{2l}(l^2 - a^2)x - \frac{qx^2}{2} \dots (5)$$

როცა  $x=0$ ;  $M_A=0$ .

გარდა ამისა მღუნავ მომენტს მალში (A და B-ს შორის) აქვს ერთი ნულოვანი მნიშვნელობა.

განესაზღვროთ მნიშვნელობა რომლის დროსაც  $M_x=0$

$$\frac{q}{2l}(l^2 - a^2)x - \frac{qx^2}{2} = 0; \quad x = x_2 = \frac{l^2 - a^2}{l},$$

შემდეგ, როდესაც  $x = \frac{l}{2}$  (ე. ი. ძალის შუაში)

მლუნავი მომენტი ტოლია

$$M_x = \frac{q}{2l} (l^2 - a^2) \frac{l}{2} - q \cdot \frac{\left(\frac{l}{2}\right)^2}{2} = \frac{ql^2}{8} - \frac{qa^2}{4};$$

$$\frac{M_l}{2} = \frac{ql^2}{8} - \frac{qa^2}{4} \dots (T_1)$$

საბოლოოდ, როცა  $x=l$ ;  $M_x = \frac{q}{2l}(l^2 - a^2)l -$

$$-\frac{ql^2}{2} = -\frac{qa^2}{2}; M_x = -\frac{qa^2}{2} \dots (T_2)$$

მლუნავი მომენტების ( $T_1$ ) და ( $T_2$ ) მნიშვნელობების გამორკვევის დროს ადვილად შევამჩნევთ, რომ საანგარიშო მლუნავ მომენტს მივიღებთ ან საყრდენზე ან  $A$  და  $B$  საყრდენებს შორის, ე. ი. მალში  $x_2$ —ინტერვალში, ე. ი. როცა

$$x_0 = \frac{l^2 - a^2}{2l};$$

$x_0$ -ის მნიშვნელობის (წ) ფორმულაში ჩასმით ვღებულობთ:

$$M_x = \frac{q}{2l} (l^2 - a^2) \frac{l^2 - a^2}{2l} = \frac{q}{2} \left(\frac{l^2 - a^2}{2l}\right)^2 =$$

$$= \frac{q}{4l^2} (l^2 - a^2)^2 - \frac{q}{8l^2} (l^2 - a^2)^2;$$

ან

$$M_{x_0} = \frac{q}{8l^2} (l^2 - a^2)^2 \dots (\psi)$$

ამ შემთხვევაში (ისე, როგორც ორი სიმეტრიულ კონსოლიან კოჭების დროს) კოჭის საუკეთესო მდგრა-

დობა იქნება, მაშინ როდესაც მღუნავი მომენტი  $B$  საყრდენზე და შუაში  $x_2$  ტოლებია, ე. ი.  $M_0 = M_{x_0}$ ;

$$\frac{q}{8l^2}(l-a^2)^2 = q \frac{a^2}{2}, \text{ საიდანაც}$$

$$a = l(\sqrt{2} - 1) = 0,4142l.$$

სიმეტრიულ დატვირთვის დროს  $M_{max}$  დაემთხვა გადამჭრელ ძალების ნულოვან წერტილს. ეს წესი ყველა დატვირთვისათვის საერთოა.

გავსინჯოთ ეს არასიმეტრიული დატვირთვის დროსაც:  $M_{max}$ —შეესაბამება  $x_1-x_2$  შუა ინტერვალს, რომლის დროსაც აზსციხსა  $M_{max}$ —ტოლია:

$$x_0 = \frac{l^2 - a^2}{2l}.$$

ამ შემთხვევაში გადამჭრელი ძალა იქნება:

$$Q_{x_0} = A - qx_0$$

$x_0$ —მნიშვნელობის ჩასმით ვღებულობთ:

$$Q_{x_0} = \frac{q}{2l}(l^2 - a^2) - q \frac{l^2 - a^2}{2l} = 0.$$


## 8. შვედლერის თეორემა

დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი დატვირთვის დროს მაქსიმალური მღუნავი მომენტი მდებარეობს კოჭის ისეთ კვეთში, სადაც გადამჭრელი ძალა ნულის ტოლია. (იხ. ნახ. 24).

$x$ —მანძილზე:  $Q_x = A - Px$ ; მაშასადამე მცირე სიდიდით  $\Delta x$  გადიდების დროს გადამჭრელი ძალა დიდდება  $\Delta P$ -თი  $dx$ :

$$M_x = A \cdot x - Pz; \quad M_x + dM_x = A(x + dx) - P(z + dx) - \\ - dP \frac{dx}{2}$$

უსასრულო მცირე სიდიდის ნულათ ჩათვლის შემდეგ ვღებულობთ:



ნახ. 24.

$$M_x + dM_x = A(x + dx) - P(z + dx);$$

მაშასადამე:

$$dM_x = A dx - P dx = (A - P) dx;$$

მაგრამ

$$A - P = Q_x;$$

ჩასმით ვღებულობთ.

$$dM_x = Q_x \cdot dx.$$

ამოგხსნათ უბრალო წარმოებულის:


$$\frac{\Delta M_x}{\Delta x} = Q_x;$$

საიდანაც

$$\boxed{\frac{dM_x}{dx} = Q_x; \dots \dots \dots (38)}$$

გადამჭრელი ძალა წარმოადგენს მღუნავ მომენტის პირველ წარმოებულს  $x$  მანძილით.

9. კერძო შემთხვევა



ნახ. 25.

$$A = ql_1 \cdot \frac{\left(l - \frac{l_1}{2}\right)}{l} = \frac{ql_1}{2l}(2l - l_1); \quad B = \frac{ql_1^2}{2l};$$

$$M_x = Ax - \frac{qx^2}{2} \quad Q_x = A - qx;$$

$M_{max}$ -ის განსაზღვრისათვის პირველად გენესაზღვროთ გადამჭრელი  $Q_x$ -ძალის  $x_0$ -აბსცისსა, რისთვისაც გაუტოლებთ ნულს

$$A - qx_0 = 0; \quad x_0 = \frac{A}{q}$$

A-ს მნიშვნელობის ჩასმით მივიღებთ:

$$x_0 = \frac{l_1}{2l} (2l - l_1)$$

ამის შემდეგ:

$$M_{max} = Ax_0 - \frac{qx_0^2}{2} = qx_0^2 - \frac{qx_0^2}{2} = \frac{qx_0^2}{2},$$

$$M_{max} = \frac{q}{2} \cdot \frac{l_1^2}{4l^2} (2l - l_1)^2;$$

როცა

$$l_1 = \frac{l}{2};$$

მაშინ გვაქვს

$$A = \frac{3}{8}ql; \quad B = \frac{1}{8}ql; \quad x_0 = \frac{3}{8}l;$$

$$M_{max} = \frac{q}{2} \cdot \frac{l}{4 \cdot 4 \cdot l^2} \left( 2l - \frac{l}{2} \right)^2 = \frac{q}{32} \left( 4l^2 - \frac{4l^2}{2} + \frac{l^2}{4} \right);$$


$$\boxed{M_{max} = \frac{9}{128} ql^2} \dots \dots \dots (39)$$

### 10. კერძო შემთხვევა

$l_2 > l_1$ , განვსაზღვროთ საყრდენი რეაქციები:

$$\Sigma M_A = -Bl + ql_2 \left( l - \frac{l_2}{2} \right) + ql_1 \cdot \frac{l_1}{2} = 0;$$

$$B = \frac{ql_2}{2} (2l - l_2) + \frac{ql_1^2}{2l}.$$



ნახ. 26

ნახ. 26.

$\Sigma V = 0$ ; აქედან გვაქვს:  $A = q(l - l_2) - B$  (იხ. ნახ. 26).  
გადამჭრელი ძალა არ უდრის ნულს  $l_2$ -უბანზე (იმიტომ, რომ  $l_2 \neq l_1$ );  $Q_x = B - qx$ ; განვსაზღვროთ  $x_0$ ;  $Q_x = 0$ ;  $B - qx_0 = 0$ ;

$$x_0 = \frac{B}{q};$$

$$x_0 = \frac{l_2}{2l} (2l - l_2) + \frac{l_1^2}{2l};$$

$$M_{max} = Bx_0 - \frac{qx_0^2}{2};$$


$$M_{max} = qx_0^2 - \frac{qx_0^2}{2} = \frac{qx_0^2}{2},$$

$x_0$ -ის ჩასმით ვღებულობთ საბოლოოდ



$$M_{max} = \frac{q}{2} \left[ \frac{l_2}{2l} (2l - l_2) + \frac{l_1}{2l} \right]^2 \dots \dots \dots (40)$$

11. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი თანაბრად განრიგებული ტვირთით და შეყურსული ძალით მალში



ნახ. 27.

$$A = \frac{Pb}{l} + \frac{ql}{2} \dots \dots \dots (41)$$

$$B = \frac{Pa}{l} + \frac{ql}{2} \dots \dots \dots (42)$$

მლუნავი მომენტი = ორი მომენტის ჯამს;  $P$  — ტვირთის მომენტს + თანაბრად განრიგებულ ტვირთის მომენტი  $\frac{ql^2}{8}$ .

გადამკრელი ძალა:  $Q_{x_0} = A - P - qx_0$ ;  $A - P - qx_0 = 0$ ;

$$x_0 = \frac{A - P}{q}; \quad x_0 = \frac{P}{q} \left( \frac{b}{l} - 1 \right) + \frac{l}{2}.$$

ძღუნავი მომენტის ეპიურის მაქსიმალური ორდინატის გამოსარკვევად განისაზღვრება მხები  $T-T$  გავლებით  $C'B'$  სამკუთხედის გვერდის პარალელურად. მხების  $E$  წერტილში უნდა გაიაროს მაქსიმალური ძღუნავი მომენტის ორდინატმა  $M_{max}$ :

$$M_{max} = Ax_0 - P(x_0 - a) - \frac{qx_0^2}{2};$$

$$M_{max} = Px_0 + qx_0 - Px_0 + Pa - \frac{qx_0^2}{2};$$

$$\boxed{M_{max} = \frac{qx_0^2}{2} + Pa} \dots \dots \dots (43)$$

$x_0$  — კვეთისათვის:

$$Q_{x_0'} = B - qx_0' = 0; \quad x_0' = \frac{Pa}{lq} + \frac{l}{2};$$

$$\boxed{M_{max} = Bx_0' - \frac{(qx_0')^2}{2}} \dots \dots \dots (43')$$


12. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი ორი სიმეტრიული შეყურსული თანატოლი ძალით

$$P_1 = P_2 = P; \quad A = B = P + \frac{ql}{2};$$

$$Q_{x_0} = A - P - qx_0 = 0;$$

$$x_0 = \frac{A - P}{q} = P + \frac{\frac{ql}{2} - P}{2} = \frac{l}{2};$$

$$M_{x_0} = \frac{qx_0^2}{2} + Pa = \frac{q \left( \frac{l}{2} \right)^2}{2} + Pa;$$



ნახ. 28.

$$M_{max} = \frac{ql^2}{8} + Pa \quad \dots \dots (44)$$

13. სამკუთხოვანი დატვირთვა

$$\Sigma M_B = Al - \frac{ql}{2} \cdot \frac{l}{3} = 0; \quad A = \frac{ql^2}{6l} = \frac{ql}{6};$$

$$B = \frac{ql}{2} - A = \frac{ql}{3};$$


$$q_x = \frac{x}{l} \cdot q;$$

ამიტომ:

$$M_x = \frac{ql}{6} \cdot x - \frac{qx^2}{6l}.$$

$$Q_x = \frac{QM_x}{dx} = \frac{ql}{6} - \frac{qx^2}{3}; \quad \frac{ql}{6} - \frac{qx^2}{3} = 0;$$

$$x = \frac{l}{\sqrt{3}} = 0,577l;$$



ნახ. 29

$$M_{max} = \frac{1}{9\sqrt{3}} ql^2 = 0,064 ql^2;$$

საყრდენებზე მომენტები = 0.


მღუნავი მომენტის ებიურა არის კუბური პარაბოლა და გადამჭრელი ძალისა კი კვადრატული პარაბოლა.

14. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი საყრდენებზე მოდებული წყვილ ძალებით

$$A = B = \frac{M_1 + M_2}{l}; \quad M_x = M_1 - \frac{M_1 + M_2}{l} x = 0;$$


აქედან

$$x = \frac{M_1}{M_1 + M_2} \cdot l; \quad -A = B = \frac{M_1 + M_2}{l}$$



ნახ. 30.

15. ორ საყრდენზე მდებარე კოჭი  $A$  საყრდენიდან  $a$  მანძილით მოდებული წყვილი ძალით




ნახ. 31.

ნახ. 31.

$$A = -B = \frac{Pc}{l} = \frac{M}{l}$$

16. შებენებელი შემთხვევა



ნახ 32.

$$M = Pc; \quad M_1 = Al = M;$$


$$M_x^I = Ax_1 = \frac{M}{l} x_1; \quad x_1 = 0; \quad M_x^I = 0;$$

$$x_1 = a; \quad M_x^I = \frac{M}{l} a; \quad M_x^{II} = Ax_2 - M = \frac{M}{l} x_2 - M =$$

$$= -\frac{M}{l} (l - x_2); \quad x_2 = a; \quad M_x^I = -\frac{M}{l} (l - a);$$

$$x_2 = l; \quad M_x^{II} = 0.$$

17. *A* საყრდენზე მოდებულია  $(-M_1)$  წყვილი  
 ძალა



ნახ. 33.

$$A = +\frac{M_1}{l}; \quad B = -\frac{M_1}{l}; \quad Q_x = -\frac{M_1}{l};$$

$$M_x = Bx = -\frac{M_1}{l} \cdot x; \quad x=0; \quad M_x=0;$$


$$x=l; \quad M_A = -\frac{M_1 l}{l} = -M_1.$$

*A*—საყრდენზე საანგარიშო მლუნავი მომენტი იქნება

$$\boxed{M_{max} = -M_1} \dots \dots \dots (45)$$

*A* ან *B* საყრდენზე მლუნავი მომენტი აბსოლუტური სიდიდით ტოლია წყვილი ძალის მომენტისა სწორხაზოვანი დამოკიდებულების გამო. მომენტების ეპიურას აქვს სამკუთხოვანი სახე.

18. საყრდენებზე მოდებულია წყვილ  
 ძალები, რომელთა მომენტი აბსოლუტური  
 სიდიდით  $-M_1$  და  $+M_2$  ტოლია



ნახ. 34.

$$Al - M_1 + M_2 = 0; \quad A = 0; \quad -Bl + M_1 - M_2 = 0; \quad B = 0,$$

ე. ი. გადაშვრელი ძალა ნებისმიერ კვეთში ნულის ტოლია.  $M$ —მლუნავი მომენტი  $x$ -ის დროს იქნება  $M_x = M_1$ ; როგორც სჩანს  $M_x$  არ არის დამოკიდებული  $x$ —მანძილზე, მაშასადამე მთელ მალზე მლუნავ მომენტს სწორკუთხედის სახე აქვს. საანგარიშო მლუნავი მომენტი იქნება:

$$M_{max} = M_1;$$

